ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი

სხდომის ოქმი N 4

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65 **17.04.2024 წელი**

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - **ალექსანდრე ლილუაშვილი.**

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი: ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, შოთა გიორგაძე, დავით ხარძეიშვილი, გელა ღვიტიძე, გელა ვარდოსანიძე, ვლადიმერ ჭვალაძე, რამაზ არველაძე, კობა ტოხვაძე, გელა ჩიკვაიძე, ლია დიასამიძე, სანდრო ხურციძე, ლანა გოგოძე, ილია დვალიშვილი, გიორგი ტყეშელაშვილი, ივანე კორძაძე, შალვა ლორთქიფანიძე, მაკა ზარნაძე, მალხაზ ცერცვაძე, თეონა ადეიშვილი, ეთერი ჭიჭინაძე, თამარ შენგელია, ნატო დვალი, ლიზა ტყეშელაშვილი.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გრიგოლ მატარაძე, ბიჭიკო პაიკიძე, ალექსანდრე მჟავანაძე, თორნიკე ერისთავი, დავით კაკაბაძე, კობა ძაგნიძე.

(დანართი: N1)

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის უფროსი-**ტარიელ ბარამიძე.**

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი **- ლუიზა ჯოგლიძე.**

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში - **ლუბა გოგოძე.**

მოწვეული სტუმრები:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის უფროსი - **მამუკა ნამიჭეიშვილი.**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - **ივანე მამფორია.**

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს ღია სხდომას 15 ^{00} საათზე გახსნილად აცხადებს .

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების შესახებ;

   მომხსენებელი: ***ივანე მამფორია***
   თანამომხსენებელი: ***გელა ჩიკვაიძე***

2. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ;

   მომხს: ***გელა ჩიკვაიძე***

3. ვანის მუნიციპალიტეტის შუამთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე სოფელ შუამთის N12 ქუჩისთვის ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭების შესახებ;

   მომხს: ***გიორგი ივანიაძე***

4. ვანის მუნიციპალიტეტის შუამთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე სოფელ შუამთის N1 ქუჩისთვის მერაბ კოსტავას სახელის მინიჭების შესახებ;

   მომხს: ***გიორგი ივანიაძე***

5. „ვანის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 14 თებერვლის გ-65.65240452 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

   მომხს: ***მამუკა ნამიჭეიშვილი***

წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტისადმი შენიშვნები არ გამოთქმულა. ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე - 24

წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა ,,ვანის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების შესახებ;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ რადგანაც ანგარიში დეტალურად იქნა განხილული მუნიციპალიტეტის საკრებულოს 5 კომისიის, ფრაქციისა და გენდერული საბჭოს სხდომებზე, ასევე გამოქვეყნებულია მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე, მოკლედ გაგაცნობთ ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრების შესრულების შესახებ ინფორმაციას:

„2023 წლის ბიუჯეტის შემოსავლების წლიური გეგმა 19576,2 ათასი ლარით განისაზღვრა, ბიუჯეტში მობილიზებულია 20593,4 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 105,52%-ს შეადგენს. გადაჭარბებამ შეადგინა 1017,2 ათასი ლარი, საიდანაც 1000,0 ათასი ლარი წარმოადგენს 2024 წლის ფინანსურ დახმარება და შესაბამისად 2023 წლის შემოსავლების გეგმაში არ იყო ასახული.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის წლიური გეგმა 20847,8 ათას ლარს შეადგენდა. საანგარიშო პერიოდის საკასო ხარჯმა შეადგინა 20177,7 ათასი ლარი, რაც წლიურად დამტკიცებული გეგმიური მაჩვენებლის 96,8%-ია.

საბიუჯეტო კოდექსის 87-ე მუხლის თანახმად, შესრულების ანგარიში უნდა შეიცავდეს პროგრამების მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას, თუ ასეთი შეუსაბამობა აღემატება 30%-ს;

ასეთი სახის შეუსაბამობა არსებობს ერთ საბიუჯეტო პროგრამაზე **02 02 ნაპირსამაგრი სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია.** (ასიგნება 46,6 ათასი ლარით შესრულება მაჩვენებელი 20,3 ათასი ლარი, წლიური გეგმის 43,6%.) პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოების დასრულება ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე, 2024 წელს დაიგეგმება და გეგმასთან შედარებით მნიშვნელოვანი გადახრაც, აღნიშნულმა გარემოებამ განაპირობა.

შემოსავლების შემთხვევაში 36,0%იანი გადახრა წარმოდგენილია **სხვა შემოსავლების** მუხლში. საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 443,6 ათასი ლარით. ადგილობრივ ბიუჯეტში მობილიზებულ იქნა 283,9 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 64,0%-ით. მნიშვნელოვანი გადახრა გამოწვეულია იმ ფაქტორებით, რომ ბუნებრივი რესურსების მოსაკრებლის ადმინისტრირება არ ხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ და მუნიციპალიტეტი მოკლებულია შესაძლებლობას დასაშვები ცდომილების ფარგლებში მოახდინოს მისაღები მოსაკრებლის მოცულობის პროგნოზირება.“

ივანე მამფორიას შემდეგ შემდეგ სიტყვით გამოვიდა თანამომხსენებელი გელა ჩიკვაიძე. მან აღნიშნა, რომ ბიუჯეტის შესრულების ანგარიში მოწონებულია ყველა

კომისიის, ფრაქციის და გენდერული საბჭოს მიერ. ამიტომ მიზანშეწონილად მიმაჩნია მიუჯეტი შესრულების ანგარიში შეფასდეს დადებითად.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 24

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების შესახებ“;

განკარგულება გ-65.65241081

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი ,, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N27 დადგენილების შესაბამისად და ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის 2024 წლის 2 აპრილის N65-65240932 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრ არათანამდებობის პირებს ხარჯების ანაზღაურებისთვის ჩაერიცხოთ თითოეულს 817 (რვაასჩვიდმეტი) ლარი, რაც ჯამში შეადგენს 8170 (რვაათასასსამოცდაათ) ლარს.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 24

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი ,, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ;

განკარგულება N გ-65.65241084

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიორგი ივანიაძემ წარმოადგინა ,,ვანის მუნიციპალიტეტის შუამთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე სოფელ შუამთის N12 ქუჩისთვის ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭების შესახებ;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამ საკითხმა გაიარა ყველა სამართლებრივი ინსტანცია და მოვიდა დადებითი დასკვნა, N12 ქუჩას მიენიჭოს ზვიად გამსახურდიას სახელი. N12 ქუჩა იწყება სოფელ შუამთის ცენტრიდან და გრძელდება სოფელ ციხესულორამდე.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 24

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის შუამთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე სოფელ შუამთის N12 ქუჩისთვის ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭების შესახებ;

განკარგულება N გ-65.65241082

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიორგი ივანიაძემ წარმოადგინა ,,ვანის მუნიციპალიტეტის შუამთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე სოფელ შუამთის N1 ქუჩისთვის მერაბ კოსტავას სახელის მინიჭების შესახებ;

ამ შემთხვევაშიც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკითხმა გაიარა ყველა სამართლებრივი ინსტანცია და მოვიდა დადებითი დასკვნა რომ N1 ქუჩას მიენიჭოს მერაბ კოსტავას სახელი. N1 ქუჩა იწყება სოფელ შუამთის ცენტრიდან და გრძელდება სოფელ მთისძირის დასაწყისამდე.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 24

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის შუამთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე სოფელ შუამთის N1 ქუჩისთვის მერაბ კოსტავას სახელის მინიჭების შესახებ;

განკარგულება Nგ-65.65241083

მოისმინეს :

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მამუკა ნამიჭეიშვილმა წარმოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 14 თებერვლის გ-65.65240452 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მოსახლეობის ჩართულობით 2023 წელს შერჩეული პროექტების განხორციელების შედეგად სოფლებში მიღებულია ეკონომიები. მერის წარმომადგენელთა მიერ მოთხოვილია ეკონომიებით 2024 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის პროექტების თანადაფინანსება. აღნიშნულის შედეგად წარმოდგენილია საკითხი ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 14 თებერვლის გ-65. 65240452 განკარგულებაში ცვლილების შეტანა.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 24

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 14 თებერვლის გ-65.65240452 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

განკარგულება Nგ-65.65241085

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს რიგითმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.